1979

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

## № 3

მარტი—МАРТ

თბილისი — 1979 — ТБИЛИСИ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
## 1979 წლის 30 იანვრის ცირკულარული
## წერილი № 05—1—9/5

Б-4657

### ნომენკლატურულ მუშაკთა შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის წესის შესახებ

შრომის კანონმდებლობა მთელ რიგ შემთხვევაში ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადების მტკიცედ დაცვას მომუშავეთა სამუშაოდან გადაყვანა-დათხოვნის ან მათზე დისციპლინური სასჯელის დადებისა და აგრეთვე სხვა შემთხვევებში.

ასე მაგალითად. პირადი განცხადების თანახმად მუშაკის სამუშაოდან დათხოვნა დასაშვებია განცხადების შემოტანის დღიდან ორი კვირის განმავლობაში, სამუშაოდან დათხოვნა დაშვებულია დათხოვნის შესახებ ადგილკომის მიერ მიღებული დადგენილების დღიდან ერთი თვის ვადაში: დისციპლინური სასჯელის დადება შეიძლება გადაცდომის გამოვლინების დღიდან არა უგვიანეს ერთი თვისა, ხოლო გადაცდომიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ საერთოდ სასჯელის დადება არ შეიძლება და ა. შ.

მიუხედავად ამისა, ამ ბოლო დროს მეტად ხშირია შემთხვევები, როდესაც საშუალო სკოლების დირექტორებს, სკოლის გარეშე და კლასგარეშე მუშაობის ორგანიზატორებს და სამინისტროს სხვა ნომენკლატურულ მუშაკებს განათლების ადგილობრივი ორგანოები სამინისტროში წარადგენენ დიდი დაგვიანებით, მუშაკების გადაჯგუფების ფაქტის მოხდენის დღიდან რამოდენიმე თვის შემდეგ, რაც განათლების სამინისტროს აყენებს მეტად მძიმე მდგომარეობაში და იძულებულს ხდის, ზოგჯერ წავიდეს ზემოხსენებული კანონის მოთხოვნათა დარღვევაზე, გარდა იმისა, რომ სამინისტრო ასეთ შემთხვევებში ნომენკლატურის მუშაკების გადაჯგუფების ფაქტების მხოლოდ აღმრიცხველის როლში გამოდის, რაც ყოვლად შეუწყნარებელია.

კანონი მოითხოვს, რომ ადმინისტრაციის ინიციატივით მუშაკების დათხოვნის შემთხვევაში ბრძანების მოტივირება ზუსტად შეესაბამებოდეს შრომის კანონმდებლობაში გათვალისწინებულ ფორმულირებებს, რომელიც თქვენ დაგირიგდათ სამინისტროს მიერ ახლახან ჩატარებულ კურს-სემინარებზე.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე გავალებთ:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნომენკლატურის მუშაკთა სამსახურებრივ მდგომარეობაში ცვლილებები შეიტანოთ მხოლოდ სამინისტროდან წერილობითი დასტურის მიღების შემდეგ.

...მარქსის სახ. საქ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ადმინისტრაციის ინციატივით მუშაკების სამუშაოდან დათხოვნის ფორმულირება ზუსტად უნდა შეუფარდოთ შრომის კანონმდებლობაში გათვალისწინებულ ფორმულირებებს (შრ. კან. კოდ. 34 და 35 მუხ.).

3. შტატებში ცვლილებების შესახებ სამინისტროდან დასტურის მიღებისათვის საჭიროა წარმოადგინოთ: ა) განათლების განყოფილების წარდგინება; ბ) ბრძანების პროექტი; გ) დოკუმენტი პარტიული ორგანოს თანხმობის შესახებ; დ) მუშაკის განცხადების დედანი, თუ პირადი განცხადების საფუძველზე ხდება მისი განთავისუფლება ან სხვა სამუშაოზე გადაყვანა.

ამასთან საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

1. არ შეიძლება მუშაკის სხვა სამუშაოზე გადაყვანა მისი წერილობითი თანხმობის გარეშე;

2. დაუშვებელია მუშაკის დათხოვნა საავადმყოფო ფურცელზე ან მორიგ შვებულებაში ყოფნის დროს;

3. აკრძალულია ფეხმძიმე ქალებისა და ჩვილ ბავშვთა დედების სამუშაოდან დათხოვნა.

4. არ შეიძლება სათანადო ორგანოებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე დათხოვნა;

ა) მოზარდების (18 წლის ასაკამდე) არასრულწლოვანთა კომისიასთან შეთანხმების გარეშე; ბ) ადმინისტრაციის ინიციატივით არც ერთი მუშაკის (მათ შორის სკოლების ორგანიზატორების) ადგილკომთან წინასწრი თანხმობის გარეშე; გ) ადგილკომის თავმჯდომარისა და წევრებისა ზემდგომ პროფორგანიზაციებთან შეთანხმების გარეშე; გ) საბჭოების სახალხო დეპუტატების უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ან შესაბამისი საბჭოს აღმასკომის თანხმობის გარეშე; დ) ახალგაზრდა სპეციალისტების, რომლებიც განაწილებით გაიგზავნენ სამუშაოდ შესაბამისი სამინისტროს (უწყების) ნებართვის გარეშე.

ყოველთვის გქონდეთ მხედველობაში, რომ ჩვენი კანონმდებლობა ადმინისტრაციის ინიციატივით მუშაკის სამუშაოდან დათხოვნას თვლის სასჯელის უკიდურეს ზომად.

ეს წერილი დაიყვანეთ თქვენდამი დაქვემდებარებულ ყველა სკოლისა და სხვა დაწესებულების ხელმძღვანელობამდე.

**მინისტრის მოადგილე** **ო. დოლიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ЦИРКУЛЯРНОЕ ПИСЬМО МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

## О порядке внесения изменений в состав номенклатурных работников

**30 января 1979 года № 05-1-9/5**

Трудовое законодательство в ряде случаев предусматривает строгое соблюдение давностных сроков при переводе и увольнении работников с работы и наложении на них дисциплинарных взысканий и т. д.

Так, например, увольнение работника с работы на основании личного заявления допускается по истечению двух недель со дня подачи заявления; увольнение с работы разрешается в месячный срок со дня вынесения соответствующего постановления местного комитета о согласии на увольнение; наложение дисциплинарного взыскания применяется не позднее одного месяца со дня обнаружения проступка. Взыскание вообще не может быть наложено позднее 6-ти месяцев со дня совершения проступка.

Однако, в последнее время часты случаи, когда местные органы народного образования представляют в Министерство предложения и проекты о внесении изменений в состав номенклатурных работников с большим опозданием, а в некоторых случаях спустя несколько месяцев со дня совершения факта перегруппировки работников, что в свою очередь Министерство просвещения ставит в весьма тяжелое положение и нередко вынуждает его нарушать требования вышеуказанного закона, из-за чего Министерство часто является лишь регистратором фактов перегруппировки номенклатурных работников, что весьма нетерпимо.

При увольнении работников по инициативе администрации мотивировка приказа должна точно соответствовать формулировкам, предусмотренным в трудовом законодательстве, которое вам роздано на недавно проведенном кур-семинаре.

Исходя из вышеизложенного, обязываем:

1. Изменения в составе номенклатурных работников Министерства просвещения Грузинской ССР вносить лишь по получении письменного подтверждения от Министерства.

2. Фэрмулировку об увольнении работников по инициа-

тиве администрации точно увязывать с формулировками, предусмотренными трудовым законодательством (КЗОТ, ст. 34 и 35).

3. Для получения из Министерства подтверждения на внесение изменений в штаты, необходимо представить: а) представление отдела народного образования; б) проект приказа; в) документ, подтверждающий согласие партийной организации; г) заявление работника (в случае освобождения или перевода его на основании личного заявления).

Вместе с тем, запрещается:

1. перевод работника на другую работу без его письменного согласия;

2. увольнение работника, находящегося на больничном листе или в очередном отпуске;

3. увольнение с работы беременных женщин, и женщин, имеющих детей в возрасте до одного года;

4. увольнение работника без предварительного согласования вопроса с соответствующими органами:

а) увольнение подростков (до 18-ти летнего возраста без согласования вопроса с комиссией по несовершеннолетним);

б) по инициативе администрации ни одного работника (в том числе и организаторов школы без предварительного согласования вопроса с месткомом);

в) председателя и членов месткома (без согласования вопроса с вышестоящими профорганизациями);

г) народных депутатов Советов (без согласования вопроса с Президиумом Верховного Совета или соответствующими исполкомами Советов);

д) молодых специалистов, направленных на работу по распределению (без разрешения соответствующего министерства (ведомства).

Всегда иметь в виду, что наше законодательство увольнение работника по инициативе администрации считает крайней мерой наказания.

Настоящее письмо довести до руководителей всех школ и других подведомственных вам учреждений.

**Заместитель Министра** **О. ДОЛИДЗЕ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1979 წლის 1 თებერვლის

## გადაწყვეტილება

### რესპუბლიკაში სახალხო განათლების განვითარების შედეგებისა და 1979 წლის ამოცანების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებმა სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების პედაგოგიურმა კოლექტივებმა, ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXV და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე საქართველოს მასწავლებელთა IV და მასწავლებელთა საკავშირო ყრილობების მითითებებით, შესამჩნევ წარმატებებს მიაღწიეს მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის საქმეში. სკოლებში ორგანიზებულია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაშრომების-„მცირე მიწა", „აღორძინება" და „ყამირი"-შესწავლა, რამაც დიდად შეუწყო ხელი მასწავლებლებისა და მოსწავლეების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საქმიანობის დონის ამაღლებას, სახალხო განათლების ორგანოებისა და სასკოლო პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის სტილის სრულყოფას, მომხთოვნელობის გაზრდასა და სოციალისტური დისციპლინის კიდევ უფრო განმტკიცებას.

გასული, 1978, წელი რესპუბლიკაში სახალხო განათლების განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი იყო. ის მიმდინარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ" წამოყენებული ახალი ამოცანების განხორციელების ნიშნით. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მოსწავლეთა შრომითი მომზადებისა და პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესების საქმეში. რესპუბლიკის დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა 75 ათასზე მეტი ათკლასდამთავრებული მოამზადეს ცხოვრებისა და შრომისათვის. 12663 ახალგაზრდამ წარმოებისაგან მოუწყვეტლად მიიღო საშუალო განათლება. შესამჩნევად განვითარდა სასწავლო-საწარმოო კომბინატებისა და საამქროების ქსელი. თუ 1976/77 სასწავლო წელს რესპუბლიკაში მუშაობდა მხოლოდ ერთი სასწავლო-საწარმოო კომბინატი, 1979 წლის პირველი იანვრისათვის მწყობრში შევიდა და მუშაობს 18. გაუმჯობესდა სკოლებში შრომითი სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

1978 წელს განათლების სამინისტრომ და სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა დიდი შრომა გასწიეს სწავლების ხარისხის ამაღლების, განმავითარებელი სწავლების დანერგვის, განათლების მუშაკთა კადრების სწორად შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის, მასწავლებელთა პედაგოგიური დახელოვნებისა და სახალხო განათლების სისტემის ყველა რგოლში სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის. ეს იყო ორგანიზატორული საქმიანობისა და მმართველობითი მუშაობის სტილის გაუმჯობესების, სასწავლო პროგრამებისა და საგამოცდო ინსტრუქციების დამუშავება-სრულყოფის, სკოლების სახელმძღვანელოებითა და მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფის წელი. ყოველივე ამან განაპირობა რესპუბლიკაში საყოველთაო სწავლების ამსახველი გეგმიური მაჩვენებლების ზრდა. 100,6% შესრულდა მოსწავლეთა კონტინგენტის სახელმწიფო გეგმა, გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა მოსწავლეთა სკოლიდან არასაპატიო მიზეზით გასვლის შემთხვევები, ამაღლდა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები, შემცირდა მეორეწლიანობა, რაც, გარდა სხვა ორგანიზაციული ღონისძიებებისა, მნიშვნელოვნად განაპირობა საშემოდგომო გამოცდების ჩაბარების წესის შეცვლამაც.

1977 წელთან შედარებით გაიზარდა გახანგრძლივებული დღის ჯგუფების, სასკოლო ინტერნატებისა და მათში მოსწავლეთა კონტინგენტის რაოდენობა. გონებრივი და ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვებისათვის დამატებით გაიხსნა ორი კეთილმოწყობილი სპეციალური სკოლა-ინტერნატი ქ. ქ. რუსთავსა და გურჯაანში.

გაუმჯობესდა მომუშავე ახალგაზრდობის სწავლების მდგომარეობა. გაფართოვდა რაიონული დაუსწრებელი სკოლების ქსელი. 1977 წელთან შედარებით 215-ით გაიზარდა სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებისა და ჯგუფების რიცხვი, რომელიც წელს 1838-ს შეადგენს. გატარებული ღონისძიებების შედეგად 103%-ით შესრულდა ამ ტიპის სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა.

განათლების სამინისტროს ინიციატივით და მისი უშუალო ხელმძღვანელობით რესპუბლიკის სკოლებში გარდაიქმნა მოსწავლეთა შორის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ფორმები და მეთოდები. გაუმჯობესდა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და მასობრივ-სპორტული მუშაობა. სასკოლო პედგოგიური კოლექტივების ყურადღება მიექცა აღმზრდელობითი ამოცანების თანმიმდევრულად განხორციელების მიზნით გაკვეთილებზე, ფაკულტატურ და საწრეო მეცადინეობებზე აღზრდისადმი კომპლექსურად მიდგომის პრინციპის განხორციელების აუცილებლობაზე, აღმზრდელობით მუშაობაში ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაზე, მოსწავლეთა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის ყოველმხრივ მხარდაჭერაზე.

სამინისტროში და ადგილებზე შეიქმნა არასრულწლოვანთა შორის პროფილაქტიკისა და დანაშაულის ფაქტებზე ოპერატიული რეაგირების კომისიები, რომლებიც მოწოდებული არიან გააუმჯობესონ პროფილაქტიკური მუშაობა არასრულწლოვანთა უმეთვალყურეობისა და მათ მიერ სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად, გააძლიერონ და კოორდინაცია გაუწიონ ამ მიმართებით სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის ერთობლივ საქმიანობას.

დაინერგა მშობლებთან მუშაობის ახალი ფორმები. აღსანიშნავია ამ მხრივ ის დადებითი შედეგი, რომელიც გამოიღო მოსწავლეთა სწავლების, აღზრდისა და შრომისათვის მომზადების საქმეში განათლების მინისტრის შეხვედრებმა ქ. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნისა და სხვა წარმოებების მუშებსა და მოსამსახურეებთან. მისაბაძია ამ მიმართებით ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა.

გარკვეული წარმატებებია მიღწეული ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული დავალებების შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების ქსელის რაციონალიზაციის, მათი მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში. 1978 წელს აშენდა და ექსპლოატაციაში შევიდა 65 სასკოლო შენობა 30027 მ/ადგილით, 16 საბავშვო ბაღი 2850 ბ/ადგილით, 6 სასკოლო ინტერნატი 200 მ/ადგილით, 16 საცხოვრებელი სახლი მასწავლებელთათვის 970 კვმ. ფართობით. მნიშვნელოვანი თანხები გაიხარჯა სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების ინვენტარით, თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით აღჭურვისათვის.

რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში შეფმა საწარმოო ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სკოლებისა და განათლების სამინისტროს სისტემის სხვა დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საქმეში. ამ მხრივ აღსანიშნავია ენგურჰესმშენის სამმართველოს, ქობულეთის, მახარაძის, გურჯაანის, ზუგდიდის, ჩოხატაურისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ ჩატარებული მუშაობა.

ამასთან ერთად რესპუბლიკაში სახალხო განათლების განვითარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებებსა და გადაუწყვეტელ საკითხებს.

რიგი ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების ორგანოები არ იჩენენ სათანადო მომთხოვნელობას სკოლების პედაგოგიური კოლექტივებისადმი საყოველთაო სწავლების განუხრელად განხორციელებაზე, რის გამოც ჯერ კიდევ დიდია იმ ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც დროულად ვერ ღებულობენ რვაწლიან და სრულ საშუალო განათლებას, განსაკუთრებული დაბალი მაჩვენებლები აქვთ აფხაზეთის ასსრ (71,8%), სამხრეთ ოსეთის ა/ო (81,7%), ამბროლაურის (77,5%), გარდაბნის (81,7%), ყაზბეგის (41,4%), ონის (68%) და სხვა რაიონებს. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქ. ქ. თბილისში, ჭიათურაში, ტყიბულში, ადიგენის, ახალქალაქის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, დმანისის, მარნეულის, თეთრიწყაროს და რიგ სხვა რაიონებში კვლავ ადგილი აქვს მოსწავლეთა სკოლიდან არასაპატიო მიზეზით გასვლის შემთხვევებს, არ არის დაწესებული კონტროლი მეორეწლიანთა სწავლებაზე და მათ მოძრაობაზე.

ახალციხის, მაიაკოვსკის, საგარეჯოს, თეთრიწყაროს, გორის, ლენტეხის, საჩხერის, თიანეთის, წალკის და სხვა რაიონებში სათანადო ყურადღება არ ექცევა სასკოლო ინტერნატებისა და გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ქსელის გაფართოებას, მათში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას.

სერიოზული ნაკლოვანებებია მომუშავე ახალგაზრდობის სწავლების საქმეში. რიგ ქალაქებსა და რაიონებში წლების განმავლობაში არ სრულდება საღამოს სკოლების კონტინგენტის გეგმა, კვლავ დიდია მეორეწლიანთა და სწავლებას ჩამოშორებული ახალგაზრდების რაოდენობა (8,6% და 6,1%). გასულ წელს მეთერთმეტე კლასელთა 15,6%-მა და მერვეკლასელთა 17,8%-მა ვერ შესძლეს სკოლის დამთავრება. სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები და საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების პედაგოგიური კოლექტივები არ იჩენენ ინიციატივას და ვერ ამყარებენ საჭირო კონტაქტებს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რის შედეგადაც სათანადოდ ვერ წყვეტენ მათ წინაშე დასახულ ამოცანებს. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ამ მხრივ ქ. ქ. გორში, რუსთავში, ასპინძის, ვანის, წყალტუბოს, მცხეთისა და სხვა რაიონებში.

მიუხედავად რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოებისა და განათლების სამინისტროს მიერ გატარებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მთელი რიგი ორგანიზაციული ღონისძიებებისა ცალკეული ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები კვლავ სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესების საქმეს. არ ღებულობენ სათანადო ზომებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელთა გაღრმავებული შრომითი სწავლების ორგანიზაციისათვის, სასწავლო-საწარმოო კომბინატებისა და საამქროების გახსნისათვის, არ ზრუნავენ შრომითი სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, არასაკმარის ღონისძიებებს ატარებენ მოსწავლეთა შრომითი აღზრდის საქმეში საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიზიდვის მიზნით. ჯერ კიდევ დიდია სოფლის იმ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რიცხვი, რომლებსაც არ გააჩნიათ სასწავლო სახელოსნოები. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ამ მხრივ ქ. ქ. გორში, ტყიბულში, ჭიათურაში, ზესტაფონის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ყაზბეგის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, წყალტუბოსა და სხვა რაიონებში.

რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სკოლების ერთ ნაწილში (აფხაზეთის და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქ. ქ. თბილისი, გორი, ფოთი, წყალტუბოს, მახარაძის, თელავის, წითელწყაროს, წალკის და სხვა) საკმაო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი და შრომითი აღზრდის პრობლემების გადაწყვეტისადმი კომპლექსურ მიდგომას. სუსტად მიმდინარეობს მუშაობა სასკოლო კოლექტივების ორგანიზაციისა და დარაზმვისათვის, მოსწავლეთა თვითმმართველობის განვითარებისათვის. სკოლების მუშაობაში შეინიშნება აღზრდის სიტყვიერი ფორმების სიჭარბე და ფორმალიზმი. ნაკლებად არის გამოყენებული მოსწავლეებთან მუშაობის ინდივიდუალური ფორმები. აღმზრდელობითი მუშაობის არადამაკმაყოფილებელ დონეზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ 77 მოსწავლე ადრეული გათხოვების მიზეზით ჩამოშორდა სწავლებას, უკანასკნელ ხანს იმატა არასრულწლოვანთა მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისა და საზოგადოებრივი მართლწესრიგის დარღვევის შემთხვევებმა.

გასულ წელს დამკვეთი (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო) და მოიჯარადრე მშენებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მიუხედავად პარტიისა და მთავრობის არაერთი მითითებისა, სათანადო პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ სახალხო განათლების ობიექტების მშენებლობის ვადებისა და სამშენებლო სამუშაოების ხარისხის გაუმჯობესების საქმეს, რის შედეგადაც ნაცვლად 114 სასკოლო შენობისა 1978 წელს ექსპლოატაციაში შევიდა მხოლოდ 65; 85%-ით

შესრულდა საბავშვო ბაღებისა და ბ/ბაღების და 77%-ით სასკოლო ინტერნატების მშენებლობის გეგმა; ადგილი ჰქონდა დაუმთავრებელი სამშენებლო ობიექტების ექსპლოატაციაში მიღების 27 შემთხვევას (სოფ. ცაგერის საშუალო სკოლა, ოჩამჩირის რ-ნი; სოფ. საგარეჯოს საშ. სკოლა; ქ. ბათუმის მე-7 სკოლა; გორის რაიონის სოფ. მეჯვრისხევის საშუალო სკოლა; თელავის საშუალო სკოლა; წყალტუბოს მე-2, თბილისის 26-ე და 49-ე; ქარელისა და ყვარლის რაიონების საბავშვო ბაღები და სხვ). ზოგიერთ სკოლასა და საბავშვო ბაღში უხარისხოდ ჩატარდა მიმდინარე და კაპიტალური რემონტები, რამაც უარყოფითად იმოქმედა სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებაზე. ცალკეულ რაიონებში ჯერ კიდევ არ არის დანერგილი სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების ახალი სასწავლო წლისათვის მზადყოფნის შემოწმების მიზნით სსრკ განათლების სამინისტროს მიერ დაშვებული მითითების თანახმად სპეციალური კომისიების შექმნა და აქტების შედგენა. ბევრ ქალაქსა და განსაკუთრებით სოფლის რაიონებში ძალზე დაბალია საშუალო და რვაწლიანი სკოლების სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის ტემპები.

რესპუბლიკაში სახალხო განათლების დარგში არსებული ნაკლოვანებები წარმოადგენს განათლების დაწესებულებათა მართვის საქმეში ცალკეული ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებების არასაკმარისი ხელმძღვანელობის შედეგს. სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები სათანადო დახმარებას არ უწევენ სკოლებს, სუსტად აკონტროლებენ და წარმართავენ მათ საქმიანობას მუშაობის ეფექტურობის ამაღლებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის ამოცანების კომპლექსურად გადაწყვეტის საქმეში. ჯეროვან მომთხოვნელობას არ იჩენენ სკოლების ხელმძღვანელთა მიმართ მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის, სწავლების მეთოდების სრულყოფის, იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდისათვის. სერიოზული ნაკლოვანებებია სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების მუშაობის სწორ დაგეგმვაში. განათლების განყოფილებების მუშაობაში მკვეთრად არ არის დანერგილი მიღებული დადგენილებების შესრულების სისტემატური კონტროლი და შემოწმება. საკმაო ყურადღება არ ექცევა შინასასკოლო ხელმძღვანელობისა და კონტროლის სრულყოფას, სასკოლო ინსპექციის მუშაობის ეფექტიანობას.

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა, ი. გოგებაშვილის სახელობის პედა-

გოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებმა, სამინისტროს სამმართველოებმა განყოფილებებმა, იხელმძღვანელონ რა სკკპ XXV და საქართველოს კპ XXV ყრილობების მიერ სახალხო განათლების დარგში დასახული ამოცანებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებული მითითებებით და შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის დეკემბრის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მიერ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების წინაშე დასახული ამოცანებით, შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ რესპუბლიკაში სახალხო განათლების განვითარების დარგში მეათე ხუთწლედის მეოთხე წლის ყველა გეგმიური დავალებისა და მაჩვენებლის უთუოდ შესრულებას.

2. რესპუბლიკის სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა:

2. 1. გააუმჯობესონ ორგანიზატორული საქმიანობა საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების განსახორციელებლად. მოაწესრიგონ სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვა, მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე ბავშვთა სწავლების საქმეს. შეიმუშაონ და განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი სასკოლო ინტერნატების, გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების ქსელის განვითარებისათვის. სრულყონ საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მუშაობა. აქტიურად ჩაებან საკავშირო დათვალიერებაში „ყოველ ახალგაზრდა მშრომელს — საშუალო განათლება“.

2. 2. აამაღლონ სკოლების დირექტორების, მასწავლებლების, აღმზრდელების, სახალხო განათლების ყველა მუშაკის პერსონალური პასუხისმგებლობა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისა და შედეგებისადმი, იზრუნონ მათ იდეურ-პოლიტიკურ მომზადებასა და პროფესიულ დაოსტატებაზე, პედაგოგიურ კოლექტივებში შექმნან პრინციპულობის, მომთხოვნელობის, ნდობისა და ურთიერთდახმარების ვითარება, გააძლიერონ კონტროლი მოსწავლეთა ცოდნის ხარისხზე, მათი იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის მდგომარეობაზე. ყოველმხრივ ხელი შეუწყონ სკოლებში მოსწავლეთა თვითმმართველობის განვითარე-

ბას. უნარიანად გამოიყენონ კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების საქმიანობა მოსწავლეებში სწავლისა და შრომისადმი პასუხისმგებლური და შეგნებული დამოკიდებულების აღზრდისათვის. პედაგოგიური კოლექტივების ყურადღება გაამახვილონ ბავშვებთან ინდივიდუალური აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებაზე, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკაზე.

2. 3. შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ეფექტიანი შრომითი სწავლებისა და მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ მატერიალური წარმოების სფეროში შრომისათვის ახალგაზრდობის მომზადების გაუმჯობესებას, პროფესიის სწორ არჩევას. მიიღონ კონკრეტული ზომები შრომითი სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასამტკიცებლად.

2. 4. დასახონ სათანადო ღონისძიებანი მმართველობითი მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მუშაობის სწორ დაგეგმვას, შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას, ინსპექტირების ეფექტიანობას, შინასასკოლო ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაძლიერებას, პარტიისა და მთავრობის დადგენილებებისა და საკუთარი გადაწყვეტილებების შესრულების სისტემატურ შემოწმებას.

3. რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებმა, განათლების დაწესებულებათა ყველა მუშაკმა სისტემატურად ყურადღების ცენტრში იქონიონ სახალხო განათლების განვითარების ძირეული საკითხები; ყოველმხრივ და კრიტიკულად შეაფასონ ჩატარებული მუშაობის შედეგები; უფრო აქტიურად განავითარონ კრიტიკა და თვითკრიტიკა; აამაღლონ კადრების აქტიურობა და პერსონალური პასუხისმგებლობა დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაზე; განათლების სამინისტროს სისტემის ყველა რგოლში სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით მიაღწიონ მუშაობის ხარისხისა და ეფექტურობის ამაღლებას, ჩამორჩენილების მოწინავეთა რიგებში გასვლას, მაღალი საბოლოო შედეგების მიღებას.

4. მოწვეულ იქნას 1979 წლის თებერვლის მესამე დეკადაში რესპუბლიკის სახალხო განათლების მუშაკთა აქტივის კრება დღის წესრიგით „საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლე ახალგაზრდობას შორის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი სრულყოფის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა შუქზე".

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში" (ამხ. ნ. შველიძე) და განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

6. აღნიშნული გადაწყვეტილება დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს კოლეგიებსა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე განსახილველად.

7. გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სახალხო განათლების ინსპექციას (ამხ. კ. სუჯაშვილი).

**კოლეგიის თავმჯდომარე**

**მინისტრი** **ო. ქინქლაძე**

# РЕШЕНИЕ КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

## Об итогах развития народного образования в республике и задачах на 1979 год.

**1 февраля 1979 года**

Коллегия отмечает, что органы народного образования республики, педагогические коллективы школ и внешкольных учреждений, руководствуясь решениями XXV съездов КПСС и КП Грузии, указаниями Всесоюзного съезда учителей и IV съезда учителей Грузии, достигли значительных успехов в деле обучения и коммунистического воспитания учащейся молодежи. В республике организовано изучение трудов товарища Л. И. Брежнева «Малая земля», «Возрождение» и «Целина» работниками просвещения и учительскими коллективами, что во многом способствовало коммунистическому воспитанию учащихся, повышению уровня деятельности общеобразовательных школ, совершенствованию стиля работы органов народного образования и педагогических коллективов, повышению требовательности и укреплению социалистической дисциплины.

Прошедший, 1978, год в республике явился значительным этапом развития народного образования. Он проходил под знаком осуществления новых задач, видвинутых в постановлении Центрального Комитета КПСС и Совета Министров СССР «О дальнейшем совершенствовании обучения и воспитания учащихся общеобразовательных школ и подготовки их труду». Значительные шаги сделаны в деле улучшения трудовой подготовки и профессиональной ориентации учащихся. В дневных общеобразовательных школах республики среднее образование получили более 75 тысяч человек. 12.663 молодых рабочих получили среднее образование без отрыва от производства.

Значительно расширилась сеть учебно-производственных комбинатов трудового обучения и профессиональной ориентации учащихся и учебных цехов. Если в 1976—1977 учебном году в республике работал всего один учебно-производственный комбинат, то к 1 января 1979 года вступили

в строй и работают 18. Улучшилась материально-техническая база трудового обучения.

В 1978 году Министерство просвещения и местные органы народного образования проделали большую работу по повышению качества обучения, внедрению в практику школ развивающего обучения, правильному подбору, расстановки и воспитанию кадров работников народного образования, совершенствованию педагогического мастерства учителей и укреплению социалистической дисциплины во всех звеньях системы народного образования.

1978 год был годом улучшения стиля организаторской и управленческой деятельности, совершенствования учебных программ и экзаменационных инструкций, обеспечения школ учебниками и методической литературой. Все это обусловило рост основных показателей, характеризующих работу школ.

Государственный план контингента учащихся выполнен на 100,6%. По сравнению с прошлыми годами значительно сократились случаи выбытия учащихся из школ по неуважительным причинам, повысились показатели академической успеваемости учащихся, снизилось второгодничество, что, помимо других организационных мероприятий, обусловлено изменением порядка проведения экзаменов для учащихся, имеющих задания на лето.

По сравнению с 1977 годом увеличилось количество групп продленного дня, пришкольных интернатов. В городах Рустави и Гурджаани на базе школ-интернатов открыты две благоустроенные школы-интерната для детей, больных сколиозом и с нарушениями двигательного аппарата.

Улучшилось качество обучения работающей молодежи. Расширилась сеть районных очно-заочных школ. По сравнению с 1977 годом число учебно-консультационных пунктов и групп увеличилось на 215, а в текущем году составляет 1838. В результате проведенных мероприятий в школах такого типа план контингента учащихся выполнен на 103%.

По инициативе и под руководством Министерства просвещения в школах республики преобразовались формы и методы идейно-воспитательной работы среди учащихся. Улучшилась физкультурно-оздоровительная и массово-спортивная работа. С целью последовательного выполнения воспитательных задач внимание педагогических коллективов школ бы-

ло обращено на необходимость неуклонного осуществления принципа комплексного подхода к воспитанию учащихся на уроках, факультативных и кружковых занятиях, усиления борьбы против формализма в работе, всесторонней поддержки деятельности органов самоуправления учащихся.

В Министерстве и на местах созданы комиссии по профилактике и оперативному реагированию на факты преступности среди несовершеннолетних, призванные улучшить профилактическую работу по устранению безнадзорности и правонарушений, усилить и координировать в этом направлении совместную работу школы, семьи и общественности.

Внедрены новые формы работы с родителями. Положительный результат в деле организации обучения, воспитания и подготовки к труду учащихся дали встречи Министра просвещения с работниками и служащими Руставского металлургического, Тбилисского электровозостроительного заводов и других предприятий. В этом направлении следует отметить деятельность партийной организации Октябрьского района г. Тбилиси.

В соответствии с предусмотренными пятилетним планом заданиями, определенные успехи достигнуты в деле рационализации сети общеобразовательных школ, дошкольных и внешкольных учреждений. В 1978 году построено и сдано в эксплоатацию 65 школьных зданий на 30027 ученических мест, 16 детских садов на 2850 детских мест, 6 пришкольных интернатов на 200 ученических мест, 16 жилых домов для учителей площадью в 970 кв. м. Значительные средства затрачены на оснащение школ и внешкольных учреждений инвентарем, наглядными пособиями и техническими средствами обучения.

Во многих городах и районах республики шефские производственные организации, колхозы и совхозы внесли значительный вклад в дело укрепления материально-технической базы школ и других учреждений системы Министерства просвещения. В этом направлении следует отметить работу, проделанную Управлением Энгургэсстроя, колхозами и совхозами Кобулетского, Махарадзевского, Гурджаанского, Зугдидского, Чохатаурского и других районов.

Вместе с тем, в республике в деле развития народного образования все еще имеют место недостатки и неразрешенные вопросы.

Органы народного образования ряда городов и районов не проявляют надлежащей требовательности к педагогическим коллективам школ в вопросе неуклонного осуществления всеобщего обучения, ввиду чего все еще велико число молодежи, не получившей своевременно восьмилетнего или полного среднего образования. Особенно низкие показатели имеют: Абхазская АССР (71,8%), Юго-Осетинская АО (81,7%), Амбролаурский (77,5%), Гардабанский (81,7%), Казбегский (41,4%), Онский (68%) и другие районы. О недостатках, имеющихся в деле организации учебно-воспитательного процесса свидетельствует и тот факт, что в Абхазской и Аджарской АССР, Юго-Осетинской АО, городах Тбилиси, Чиатура, Ткибули, Адигенском, Ахалкалакском, Болнисском, Боржомском, Гардабанском, Дманисском, Марнеульском, Тетрицкаройском и ряде других районов все еще имеют место случаи выбытия из школ учащихся по неуважитеьлным причинам, не установлен контроль за обучением второгодников и их движением.

В Ахалкалакском, Маяковском, Сагареджойском, Тетрицкаройском, Горийском, Лентехском, Сачхерском, Тианетском, Цалкском и других районах должное внимание не уделяется расширению сети школ-интернатов и групп продленного дня, улучшению в них учебно-воспитательной работы и укреплению материально-технической базы.

Серьезные недостатки имеют место в деле обучения работающей молодежи. В некоторых городах и районах на протяжении ряда лет не выполняются планы контингента учащихся вечерних школ, все еще велико число второгодников и молодежи, оставившей обучение (8,6% и 6,1%). В прошлом году 15,6% одинадцатиклассников и 17,8% восьмиклсников не смогли закончить школу. Местные органы народного образования и педагогические коллективы вечерних и заочных школ не проявляют инициативы и не устанавливают необходимых контактов с промышленными и сельскохозяйственными предприятиями, общественными организациями, в результате чего не могут решать поставленные перед ними задачи. Неудовлетворительное положение в этом направлении имеет место в городах Гори, Рустави, Аспиндзском, Ванском, Цхалтубском, Мцхетском и других районах.

Несмотря на ряд организационных мероприятий, проведенных руководящими партийными и советскими органами и

Министерством просвещения республики, отделы народного образования отдельных городов и районов все еще с недостаточной ответственностью относятся к делу улучшения трудового воспитания и профессиональной ориентации учащихся. Не принимают надлежащих мер по организации углубленного трудового обучения старшеклассников общеобразовательных школ, открытию учебно-производственных комбинатов и учебных цехов, не заботятся об укреплении материально-технической базы трудового обучения, недостаточно вовлекают предприятия, колхозы и совхозы в дело трудового воспитания учащихся. Все еще велико число сельских общеобразовательных школ, не имеющих учебных мастерских. Неудовлетворительное положение в этом направлении имеет место в городах Гори, Ткибули, Чиатура, Зестафонском, Адигенском, Амбролаурском, Аспиндзском, Казбегском, Лагодехском, Ланчхутском, Цхалтубском и других районах.

В ряде школ городов и районов республики (Абхазская и Аджарская АССР, Юго-Осетинская АО, гг. Тбилиси, Гори, Поти, Цхалтубский, Махарадзевский, Телавский, Цителцкаройский, Цалкский и др.) не уделяется должного внимания комплексному подходу к решению проблем идейно-политического, нравственного и трудового воспитания учащихся, сплочению и организации школьных коллективов, развитию органов ученического самоуправления. В работе школ все еще значительное место занимают словесные формы воспитания, наблюдается формализм, слабо используются индивидуальные формы работы с учащимися. На неудовлетворительный уровень воспитательной работы указывает тот факт, что 77 учащихся по причине раннего замужества оставили обучение. В последнее время увеличилось число уголовных преступлений и общественных правонарушений несовершеннолетними.

В прошлом году руководители организации заказчиков (Главное Управление капитального строительства при Совете Министров Грузинской ССР) и подрядных строительных организаций, несмотря на неоднократные указания партии и правительства, не отнеслись с должной ответственностью к выполнению сроков строительства объектов народного образования и делу улучшения качества строительных работ, в результате чего в 1978 году вместо 114 школьных зданий в эксплоатацию сданы всего 65; только на 85% выполнен план

строительства детских садов и садов-яслей и на 77% — пришкольных интернатов. Имели место 27 случаев ввода в действие в незавершенном виде строительных объектов (средняя школа села Цагери, Очамчирский район, средняя школа села Сагареджо, 7-я средняя школа г. Батуми, средняя школа села Меджврисхеви Горийского района, Телавская средняя школа, Цулукидзевская 2-я, Тбилисская 26-я и 49-я, детские сады Карельского и Кварельского районов и др.). В ряде школ и детских садов некачественно проведены текущий и капитальный ремонты, что отрицательно повлияло на организованное начало учебного года. В отдельных районах не созданы специальные комиссии для проверки готовности школ и дошкольных учреждений к новому учебному году, не составлены акты о готовности школ, согласно спущенному Минпросом СССР указанию. Во многих городах и особенно сельских районах весьма низкие темпы перехода средних и восьмилетних школ на кабинетную систему обучения.

Недостатки, имеющиеся в области народного образования республики, являются результатом ослабления управленческой деятельности городских и районных отделов народного образования. Местные органы народного образования не оказывают надлежащей помощи школам, слабо контролируют их деятельность в направлении комплексного решения задач повышения эффективности работы и совершенствования учебно-воспитательного процесса, слабо контролируют деятельность руководителей школ по повышению качества знаний учащихся, совершенствованию методов обучения, их идейно-политического, трудового и нравственного воспитания.

Серьезные недостатки имеют место в планировании отделами народного образования и школами своей работы. Не уделяется должного внимания систематическому контролю и проверке выполнения принятых постановлений, совершенствованию внутришкольного руководства и контроля, эффективности работы школьной инспекции.

Коллегия решает:

1. Министерствам просвещения Абхазской и Аджарской АССР, отделам народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики, НИИ педагогических наук им. Я. Гогебашвили и институтам усовершенствования учителей, отделам и управлениям Министерства просвещения

Грузинской ССР, руководствуясь задачами, намеченными XXV съездами КПСС и КП Грузии в области народного образования, решениями Ноябрьского (1978 г.) пленума ЦК КПСС, указаниями, сформулированными в выступлении на этом пленуме Генерального секретаря ЦК КПСС, председателя Президиума Верховного Совета СССР товарища Л. И. Брежнева, и соответственно задачами, намеченными в выступлении кандидата в члены Политбюро ЦК КПСС, первого секретаря ЦК КП Грузии товарища Э. А. Шеварднадзе на Декабрьском (1978 г.) пленуме ЦК КП Грузии перед партийными, советскими и хозяйственными органами, разработать и осуществить конкретные мероприятия по обеспечению неукоснительного выполнения всех плановых заданий и показателей четвертого года десятой пятилетки в области развития народного образования республики.

2. Местным органам народного образования:

2.1. Улучшить организаторскую работу для осуществления всеобщего обязательного среднего образования. Упорядочить учет детей школьного возраста, с большей ответственностью отнестись к делу обучения детей с дефектами умственного и физического развития. Разработать и осуществить соответствующие мероприятия по развитию сети пришкольных интернатов, школ и групп продленного дня. Совершенствовать работу вечерних и заочных школ. Активное участие принять во Всесоюзном смотре «Каждому молодому труженику — среднее образование».

2.2. Повысить персональную ответственность директоров, учителей, воспитателей школ и всех работников народного образования за состоянием и результатами учебно-воспитательной работы, заботиться об их идейно-политической подготовке и профессиональном мастерстве; в педагогических коллективах создать обстановку принципиальности, требовательности, взаимодоверия и взаимопомощи, усилить контроль за качеством знаний учащихся, состоянием их идейно-политического, трудового и нравственного воспитания. Всесторонне способствовать развитию ученического самоуправления в школах. Умело использовать деятельность комсомольской и пионерской организаций для воспитания в учащихся ответственности и сознательного отношения к учебе и труду. Заострить внимание педагогических коллективов на усилении

индивидуальной работы среди детей, профилактики правонарушений.

2.3. Разработать и осуществить во всех общеобразовательных школах мероприятия по эффективному трудовому обучению и профессиональной ориентации учащихся, улучшению подготовки молодежи к работе в сфере материального производства, правильному выбору профессии. Принять конкретные меры по укреплению материально-технической базы трудового обучения.

ამასთან ერთად რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა და სამინისტროს აპარატის მუშაკთა ერთი ნაწილი ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ უთმობს საჩივრების წარმომშობი მიზეზების შესწავლა-გამოვლინებას და მათ ლიკვიდაციას, ღრმად არ სწვდება განცხადებებისა და საჩივრების არსს, არღვევს მათი განხილვისათვის დადგენილ ვადებს, ხშირად გაუმართლებლად აყოვნებს ან თავს არიდებს განცხადებებსა თუ საჩივრებში აღძრული საკითხების გადაწყვეტას, მათზე პასუხის გაცემას. მშრომელთა წერილებზე მუშაობის სრულყოფის გასაუმჯობესებლად მიღებული ზომები ნაკლებად ეფექტიანია და ჯერ კიდევ მთლიანად ვერ პასუხობს სკკპ XXV და საქართველოს კპ XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა მოთხოვნებს.

კერძოდ: სკოლების სამმართველოში 1978 წლის 10 ოქტომბერს შესული მოქ. ა. მ. კაკალაშვილის განცხადება მოსამზადებელი ჯგუფის დაკომპლექტების შესახებ, ჩამოწერილი არ იყო 1978 წლის 1 დეკემბრისათვის (შემსრულებელი სასკოლო ინსპექტორი დ. მახარაძე).

უპასუხოდ არის დატოვებული საგეგმო-საფინანსო სამმართველოში 1978 წლის 26 სექტემბერს შემოსული მოქ. თ. ჩინჩალაძის განცხადება სკოლის მშენებლობის შესახებ; ორჯონიკიძის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორმა გ. მაჩაიძემ 1978 წლის 21 სექტემბერს მიღებული მოქ. ი. ე. დეკანოზიშვილის განცხადება საერთოდ არ შეისწავლა; ასევე განხილული არ იყო მოქ. ლ. ვ. ქურდიანის საჩივარი ლენინის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორის რ. აბულაძის მიერ, რომელიც შეეხებოდა 138-ე საშუალო სკოლის ზოგიერთი პედაგოგის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უკანონო მოქმედებას, რამაც განაპირობა მოქ. ლ. ქურდიანის მიერ განმეორებით საჩივრის შეტანა ზემდგომ ორგანოებში.

სამინისტროს სასკოლო ინსპექტორის ბ. გელოვანის დაკისრებული მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად, მიუხედავად ადგილობრივი და რესპუბლიკური პროფკავშირის კომიტეტების გადაწყვეტილებისა, დღემდე ვერ დაკმაყოფილდა განათლების სამინისტროში 1979 წლის 25 სექტემბერს შემოსული ქ. გორის მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებლის ტ. ტალაშენკოს კანონიერი მოთხოვნა, მისთვის სკოლის ადმინისტრაციის მიერ კანონმდებლობის დარღვევით ჩამორთმეული საათების დაბრუნების შესახებ.

ქ. თბილისის ლენინის, ორჯონიკიძის, კიროვის, პირველი მაისის, კალინინის, მარნეულისა და ხაშურის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებში ირღვევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულების მე-7 და მე-9 მუხლების მოთხოვნები მოქალაქეთა განცხადება-საჩივრების ერთვიან ვადაში განხილვის შესახებ.

ქ. თბილისის პირველი მაისისა და ორჯონიკიძის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებში ხშირად ირღვევა განცხადებებისა და საჩივრების დანიშნულებისამებრ გაგზავნის კანონით დაწესებული 5 დღიანი ვადა. პირველი მაისის რაიონის განათლების განყოფილებაში შემოსული მოქ. ჯ. ქოიავას განცხადება 20 დღის დაგვიანებით მოხვდა განათლების განყოფილების გამგესთან.

ამავე განყოფილების კანცელარიაში 1977 წლის 16 მაისს შემოსული მოქ. მ. ე. ჭელიძის განცხადება შესაფერის სამუშაოზე მოწყობის შესახებ, განყოფილების გამგესთან მოხვდა მხოლოდ 2 თვისა და 20 დღის შემდეგ.

ორჯონიკიძის რაიონის განათლების განყოფილებაში 1978 წლის 7 დეკემბერს შემოსული მოქ. მ. ტატულაშვილის განცხადება სამუშაოზე მოწყობის შესახებ, 18 დეკემბრისათვის ჯერ კიდევ არ იყო გადაცემული შემსრულებელზე.

ქ. თბილისის კიროვისა და პირველი მაისის რაიონებში 1978 წლის სხვადასხვა პერიოდში აღრიცხული არ იყო 21 განცხადება.

ჩამოთვლილი ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ დასახელებულ სახალხო განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელებმა სათანადო დასკვნები ვერ გამოიტანეს განათლების სამინისტროს 1976 წლის 11 ნოემბრის № 1038 ბრძანებიდან „მშრომელთა განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების განხილვის საქმეში არსებული დარღვევების შესახებ“, და 1978 წლის 13 მარტის № 189 ბრძანებიდან, კვლავ ურიგდებიან მსგავს ნაკლოვანებებსა და დარღვევებს, ჯეროვნად არ აფასებენ განცხადება-საჩივრებზე

დროულად რეაგირებისა და მშრომელთა კანონიერ მოთხოვნათა დაკმაყოფილების პოლიტიკურ მნიშვნელობას, სათანადო პასუხს არ თხოვენ იმ პირებს, რომელთა დაუდევრობით და უყურადღებობით გაჭიანურდა, ან არასწორად გადაწყდა განცხადებასა თუ საჩივარში აღძრული საკითხი, არ ზრუნავენ საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებაზე.

ყოველივე ეს ზიანს აყენებს რესპუბლიკის სახალხო განათლების მუშაკთა წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს.

განათლების სამინისტროს ყოვლად შეუწყნარებლად მიაჩნია და შემდგომში არ დაუშვებს დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისა და პასუხისმგებელ მუშაკთა მხრივ მშრომელთა განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების განხილვა-რეაგირებისა და სამინისტროს დავალებათა შესრულებისადმი ბიუროკრატიულ და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას და მკაცრი მსჯელობის საგნად აქცევს მსგავს დარღვევათა გამოვლინების ყოველ კონკრეტულ შემთხვევას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, სამინისტროს სამართველო-განყოფილებათა უფროსებმა:

1. 1. შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც სკკპ XXV ყრილობის ახალ, უფრო გადიდებულ მოთხოვნათა შესაბამისად უზრუნველყოფენ წერილებზე მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, ამასთან, მთელი ეს საქმიანობა წარმართონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 28 აპრილის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მიერ ბოლო წლებში მიღებული დადგენილებებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1978 წლის 13 მარტის № 189 ბრძანების განუხრელად შესასრულებლად.

1. 2. კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე პერიოდულად მოისმინონ აპარატისა და დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მოხსენებები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულების გამოყენების პრაქტიკის შესახებ. გაზარდონ მომთხოვნელობა თითოეული თანამდებობის პირისადმი ისეთი დიდმნიშვნელოვანი უბნის სწორი ორგანიზაციისათვის, როგორიცაა წერილებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე მუშაობა. მკაცრი პასუხი მოთხოვონ ყველა იმ მუშაკს, რომელთა დაუდევრობით გაჭიანურდა ან უყურადღებოდ იქნა დატოვებული მოქალაქის განცხადებაში თუ საჩივარში დაყენებული საკითხი.

2. მოქალაქეთა განცხადებებზე მუშაობაში არსებული დარღვევებისათვის ქ. თბილისის ლენინისა და ორჯონიკიძის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა სასკოლო ინსპექტორებს ამხ. ამხ. გ. მაჩაიძეს და რ. აბულაძეს მიეცეს შენიშვნა.

3. სამსახურებრივი მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის, რაც გამოიხატება მოქალაქეთა განცხადება-საჩივრების განხილვის წესის უხეშად დარღვევაში სასკოლო ინსპექტორს ბ. გელოვანს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

4. აღინიშნოს ქ. თბილისის ორჯონიკიძის, კალინინის, ლენინის, 1-ლი მაისის, კიროვის, მარნეულისა და ხაშურის რაიონების განათლების განყოფილებების არადამაკმაყოფილებელი საქმიანობა მოქალაქეთა განცხადებებზე, წინადადებასა და საჩივრებზე მუშაობისას.

5. სამინისტროს ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილებამ (ამხ. ო. კვირიკაშვილი) უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს სამმართველო-განყოფილებათა სამუშაო ოთახები სათანადო აბრებითა და მოქალაქეთა მიღების დღეებისა და საათების მაუწყებელი წარწერებით.

6. სამინისტროს მთავარმა იურისკონსულტმა ამხ. ვ. კეშელავამ სამინისტროს აპარატისა და ქ. თბილისის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა მუშაკებს ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი, მშრომელთა განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების განხილვის წესის, აპარატის საქმისწარმოების ერთიანი სისტემის დანერგვის შესახებ.

7. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სახალხო განათლების ინსპექციას (ამხ. კ. სუჯაშვილი).

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1979 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება.

მ ი ნ ი ს ტ რ ი **ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ПРИКАЗ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

## О состоянии работы над заявлениями, письмами и предложениями трудящихся

### 14 марта 1979 года, № 130

Рассмотрев представление прокурора Грузинской ССР о состоянии выполнения Указа Президиума Верховного Совета СССР от 12 апреля 1968 года «О порядке рассмотрения предложений, заявлений и жалоб граждан», коллегия отмечает, что Министерство просвещения Грузинской ССР и подведомственные ему организации проводят определенную работу по рассмотрению предложений, заявлений и жалоб трудящихся.

Вместе с тем часть работников аппарата Министерства, городских и районных отделов народного образования все еще не уделяет должного внимания изучению, рассмотрению и ликвидации причин, порождающих жалобы, глубоко не вникает в суть заявлений и жалоб, нарушает установленные сроки их рассмотрения, часто без уважительных причин задерживает решение возбужденных в заявлениях или жалобах вопросов, ответы на них. Меры, принятые с целью совершенствования работы над письмами трудящихся, малоэффективны и все еще не отвечают целиком требованиям решений XXV съездов КПСС и КП Грузии.

В частности: заявление гр. Какалашвили А. М., поступившее в Управление школ 10 октября 1978 года об укомплектовании подготовительной группы не было списано к 1 декабря 1978 года (исполнитель-школьный инспектор Д. Махарадзе).

Без ответа оставлено заявление гр. Т. Чинчаладзе, поступившее в Планово-финансовое управление 26 сентября 1978 года о строительстве школы. Школьный инспектор отдела народного образования Орджоникидзевского района г. Тбилиси Г. Мачаидзе вообще не изучил заявление гр. Деканозишвили Р. Э., поступившее 21 сентября 1978 года, также не рассмотрена школьным инспектором отдела народного образования Ленинского района г. Тбилиси Р. Абуладзе жалоба гр. Курдиани Л. В., касающаяся незаконных действий со стороны некоторых педагогов 138-ой средней школы, что

способствовало повторному внесению жалобы гр. Л. Курдиани в вышестоящие органы.

В результате безответственного отношения школьного инспектора Министерства Б. Геловани к возложенным на него обязанностям и несмотря на решение местного и Республиканского комитетов профсоюза, по сегодняшний день не удовлетворено законное требование учительницы Горийской 4-ой средней школы Г. Талащенко, поступившее в Министерство просвещения 25 сентября 1978 года о возвращении часов, противозаконноотобранных администрацией школы.

В Ленинском, Орджоникидзевском, Кировском, Первомайсском, Калининском г. Тбилиси, Марнеульском и Хашурском районных отделах народного образования нарушаются требования пунктов 7 и 9 Указа Президиума Верховного Совета СССР от 12 апреля 1968 года о рассмотрении в месячный срок заявлений и жалоб.

В Первомайсском и Орджоникидзевском районных отделах народного образования г. Тбилиси часто нарушаются установленные законом пятидневные сроки отправки заявлений и жалоб по назначению. Заявление гр. Д. Койава, поступившее в Первомайский районный отдел народного образования, попало к заведующему отделом народного образования с опозданием на 20 дней.

Поступившее в канцелярию того же отдела 16 мая 1977 года заявление гр. Челидзе М. Э. об устройстве на подходящую работу, к заведующему отделом народного образования попало лишь спустя 2 месяца и 20 дней.

Заявление гр. Ш. Татулашвили о трудоустройстве, поступившее в Орджоникидзевский районный отдел народного образования 7 декабря 1978 года, 18 декабря все еще не было передано исполнителю.

В Кировском и Первомайском районных отделах народного образования г. Тбилиси в разные периоды 1978 года не было зарегистрировано 21 заявление.

Выше перечисленные факты свидетельствуют о том, что руководители указанных отделов народного образования не сделали соответствующих выводов из приказа Министерства просвещения Грузинской ССР от 11 ноября 1976 года за № 1038 «О нарушениях, имеющихся в деле рассмотрения заявлений, жалоб и предложений трудящихся» и приказа от 13 марта 1978 года за № 189, по-прежнему примиряются с

аналогичными недостатками и нарушениями, не оценивают соответствующим образом политическое значение своевременного реагирования на заявления и жалобы и удовлетворение законных требований трудящихся, не требуют соответствующих ответов от лиц, из-за невнимательности и небрежности которых затянулся или неправильно был разрешен возбужденный в заявлении или жалобе вопрос, не заботятся об укреплении исполнительской дисциплины.

Все вышеотмеченное наносит ущерб такому важному государственному делу, как успешное решение задач, стоящих перед работниками народного образования республики.

Министерство просвещения считает недопустимым безответственное, бюрократическое отношение к рассмотрению заявлений, жалоб и предложений трудящихся и выполнению заданий Министерства со стороны руководителей подведомственных организаций и ответственных работников. Каждый конкретный случай аналогичных нарушений станет предметом строгого обсуждения.

Приказываю:

1. Министрам просвещения Абхазской и Аджарской АССР, заведующим отделами народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики, начальникам управлений и отделов Министерства:

1.1. Разработать и осуществить конкретные мероприятия, которые в соответствии с новыми, более возросшими требованиями XXV съезда КПСС, обеспечат дальнейшее улучшение работы над письмами; вместе с тем всю свою деятельность направить на неуклонное выполнение Указа Президиума Верховного Совета СССР от 12 апреля 1968 года, постановление ЦК КП Грузии от 28 апреля 1976 года и последующих постановлений ЦК КП Грузии и приказа Министерства просвещения Грузинской ССР от 13 марта 1978 года за № 189.

1.2. На коллегиях и заседаниях советов народного образования периодически заслушивать доклады руководителей аппарата Министерства и подведомственных организаций о практике выполнения Указа Президиума Верховного Совета СССР от 12 апреля 1968 года. Повысить ответственность каждого должностного лица за правильную организацию такого важного участка работы, как рассмотрение писем тру-

ეროვნული ბიბლიოთეკა

дящихся. Строго взыскивать с каждого работника за небрежность, в результате которой остался без внимания вопрос, возбужденный в заявлении или жалобе гражданина.

2. За нарушения, имеющиеся в работе над заявлениями граждан, школьным инспекторам Ленинского и Орджоникидзевского районных отделов народного образования г. Тбилиси тт. Г. Мачаидзе и Р. Абуладзе указать.

3. За безответственное отношение к служебным обязанностям и грубое нарушение порядка рассмотрения заявлений и жалоб граждан, школьному инспектору Министерства просвещения Б. Геловани объявить строгий выговор.

4. Отметить неудовлетворительную работу Орджоникидзевского, Калининского, Ленинского, Первомайского, Кировского, г. Тбилиси, Марнеульского и Хашурского районных отделов народного образования над заявлениями, предложениями и жалобами граждан.

5. Административно-хозяйственному отделу (тов. О. Квирикашвили) в кратчайший срок обеспечить рабочие комнаты управлений и отделов Министерства просвещения соответствующими вывесками и надписями, оповещающими о днях и часах приема граждан.

6. Главному юрисконсульту Министерства тов. В. Кешелава для работников аппарата Министерства и районных отделов народного образования г. Тбилиси провести инструктаж о порядке рассмотрения заявлений, жалоб и предложений трудящихся, внедрении единой системы делопроизводства в аппарате.

7. Контроль за выполнением настоящего приказа поручить Инспекции народного образования (тов. К. Суджашвили).

**Основание:** решение коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 6 марта 1979 года.

**Министр** **О. КИНКЛАДЗЕ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
### 1979 წლის 23 მარტის
### გადაწყვეტილება № 4

**საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა-მოზარდთა სპორტულ სკოლებში სპორტული ბაზების რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის 1978 წლის შედეგების შესახებ**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ერთობლივი დადგენილების თანახმად 1976 წლიდან რესპუბლიკაში ტარდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სპორტული ბაზების დათვალიერება-კონკურსი.

დათვალიერება-კონკურსის მიმდინარეობის პერიოდში განათლების ორგანოების, პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების აქტიურმა საქმიანობამ საგრძნობლად შეუწყო ხელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კომპლექსური სპორტული მოედნებით და სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფას.

დათვალიერება-კონკურსის შესახებ მოეწყო სპეციალური გადაცემა საქართველოს რადიოთი და ტელევიზიით, მის მიმდინარეობას პერიოდულად აშუქებდა რესპუბლიკური პრესა.

1978 წლის განმავლობაში რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში აშენდა 19 სპორტული დარბაზი, 18 საცურაო აუზი, 2 სასროლი ტირი, მოეწყო 525 კალათბურთის, 230 ფრენბურთის, 124 ხელბურთის და 12 ფეხბურთის მოედანი, 38 მძლეოსნური სექტორი, 22 მშთ ფიზკულტურული კომპლექსის წინაღობათა ზოლი, კაპიტალურად შეკეთდა 25 სასკოლო დარბაზი, 16 მარტივი ტიპის კომპლექსური მოედანი, შეძენილ იქნა 32.340 მანეთის სპორტული ინვენტარი.

ამ მიმართებით განსაკუთრებით ნაყოფიერი მუშაობა ჩატარდა ქ. ქ. თბილისის, ბათუმის, ცხაკაიას, გურჯაანის, მცხეთის, ონის, მახარაძის, ამბროლაურის, ქარელის, წითელწყაროს, გორის, ვანის, ცაგერის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

აშენებული სპორტული ნაგებობების ხარისხით და კეთილმოწყობით აღსანიშნავია ქ. თბილისის 153-ე, 155-ე და 120-ე; ცხაკაიას რაიონის სოფელ თეკლათის და სოფ. სენაკის, გურჯაანის რაიონის მე-3, სოფლების-ბაკურციხის, ჯანდარის, ჩუმლაყის, ვაზისუბნის, შრომის, მუკუზნის, ჭიაანის, მცხეთის რ-ნის სოფ. ჟინვალის, ონის მე-2, ქ. ბათუმის 26-ე, მახარაძის რაიონის სოფ. ბასილეთის, ნატანების, შრომის, დიხურის, მახარაძის, ცხმელის, შემოქმედის, ამბრო-

ლაურის რაიონის სოფ. უჩავის, ქარელის რაიონის სოფ. ზემოხვედურეთის, ქვენატკოცის, წითელწყაროს რაიონის სოფ. გამარჯვების, გორის რაიონის სოფ. ხელთუბნის, ვანის რაიონის სოფ. ზეინდრის, ფერთის საშუალო და რვაწლიანი სკოლების სპორტული დარბაზები და მარტივი ტიპის სპორტული მოედნები.

განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს სასკოლო სპორტული ბაზების მშენებლობაზე შეფმა წარმოება-დაწესებულებებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, კერძოდ: ქ. თბილისის „გამთიშველის“, „ავჭალის“ მუშის ქარხნებმა, რძის კომბინატმა, ცხაკაიას რ-ნის სოფ. თეკლათის რაიკოოპერკავშირმა, გურჯაანის რ-ნის სოფლების — ბაკურციხის, ჭანდრის, ჩუმლაყის, ვაზისუბნის, შრომის, მუკუზნის და ჭიკაანის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, მცხეთის რაიონის ჟინვალის ჰიდროტექნიკურმა კომპლექსმა, ონის რაიონის ჩორდის სამშენებლო სამმართველომ, ბათუმის სახლმშენებლობის კომბინატმა, მახარაძის რაიონის ჩაის ფაბრიკების გაერთიანებამ, აბრეშუმის ფაბრიკამ, სოფლების — ბაილეთის, ნატანების, შრომის, ლიხაურის, მახარაძის, ცხმელის, შემოქმედის კოლმეურნეობებმა, ქარელის ავტოსარემონტო ქარხანამ, აგარის რკინა-ბეტონის ქარხანამ, წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობების გამგეობამ, გორის რაიონის წისქვილკომბინატმა, ვანის რ-ნის სოფ. ზეინდრის საბჭოთა მეურნეობამ და სოფ. ფესეთას კოლმეურნეობამ, ცაგერის რაიონის მე-20 საგზაო-საექსპლოატაციო უბანმა და ა. შ.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების განათლების ორგანოები სასკოლო სპორტული ბაზების დათვალიერება-კონკურსს უგულისყუროდ მოეკიდნენ.

აფხაზეთის ასსრ, ქ. ქ. ფოთის, ჭიათურის, რუსთავის, გორის, ზუგდიდის, აბაშის, ადიგენის, ახალციხის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, გეგეჭკორის, დმანისის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ლაგოდეხის, მარნეულის, მესტიის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, სამტრედიის, სიღნაღის, თელავის, თერჯოლის, თიანეთის, ხაშურის, წალენჯიხის, წალკის, წყალტუბოს, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, და თბილისის კალინინის, საქარხნო და ოქტომბრის რაიონებმა, მიუხედავად შეხსენებისა, დათვალიერება-კონკურსის ჩატარების მასალები არ წარმოადგინეს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. სპორტული ბაზების მოწყობის, თვითმოქმედი მშენებლობის სტიმულირების, მოსწავლე-ახალგაზრდობის შრომითი აღზრდისა

და პროფესიული ორიენტაციის ჩამოყალიბების საქმეში გაწეული ნაყოფიერი საქმიანობისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ქ. თბილისის 155-ე საშ. სკოლა (დირექტორი ი. ნ. ხაჩიძე), შეფი ორგანიზცია — რძის კომბინატი (დირექტორი დ. ღათაშვილი), 120-ე საშუალო სკოლა (დირექტორი ა. ივანიშვილი), შეფი ორგანიზაცია ავჭალის შუშის ქარხანა (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი დ. ბ. ცაგარეიშვილი), ონის მე-2 საშუალო სკოლა (დირექტორი ლ. დ. კუხიანიძე), შეფი ორგანიზაცია-ჩორდის სამშენებლო სამმართველო (უფროსი ზ. ბეგიანიშვილი), ქარელის რ-ნის სოფელ ქვენატკოცის საშუალო სკოლა (დირექტორი ნ. ა. ღონღაძე), შეფი ორგანიზაცია-რკინა-ბეტონის ქარხანა (დირექტორი ს. ვართანაშვილი), წითელწყაროს რ-ნის სოფ. გამარჯვების საშუალო სკოლა (დირექტორი მ. ი. სეხნიაშვილი), შეფი ორგანიზაცია — სოფ. გამარჯვების კოლმეურნეობა (თავმჯდომარე თ. ფ. თარაშვილი), გორის რ-ნის სოფელ ხელთუბნის საშუალო სკოლა (დირექტორი ს. დ. ხუდადოვი), შეფი ორგანიზაცია წისქვილკომბინატი (დირექტორი ჯ. ლ. ძელიძე), ვანის რ-ნის სოფ. ზეინდრის რვაწლიანი სკოლა (დირექტორი ვ. ა. გიორგაძე), შეფი ორგანიზაცია ზეინდრის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი გ. ა. ჩახუნაშვილი).

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, ს/ოსეთის ა/ოლქის განათლების განყოფილებას, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს მიიღონ შესაბამისი ზომები რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის მაღალორგანიზაციულ დონეზე ჩასატარებლად. უფრო კონკრეტულად გამოკვეთონ თითოეულ ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა-მოზარდთა სპორტულ სკოლებში სხვადასხვა ტიპის სპორტული ბაზების მოწყობის შესაძლებლობები, დათვალიერება-კონკურსის მიმდინარეობის პერიოდში სასკოლო სპორტული ნაგებობების მშენებლობის, კომპლექსური და მარტივი ტიპის სპორტული მოედნების ქსელის გაფართოებისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საქმეში მიაღწიონ წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების კონკრეტულ დახმარებას.

3. დაევალოს გაზეთ „სახალხო განათლების“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ ყოველკვარტალურ დამატება „მართვეს“ რედაქციებს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად მეტი ყურადღება მიაქციონ ზოგადსაგანმანათლებლო, ბავშვთა და მოზარდთა სპორ-

ტულ სკოლებში რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის მიმდი-ნარეობას, პრობლემების, კრიტიკული წერილების და პუბლიკაცი-ების სისტემატიურ გამოქვეყნებას.

4. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს (ამხ. დ. კვინიკაძე).

მ ი ნ ი ს ტ რ ი ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# РЕШЕНИЕ КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

## Об итогах Республиканского смотра-конкурса спортивных баз общеобразовательных детских и юношеских спортивных школ 1978 года

**23 марта 1979 года, № 4**

Согласно совместному постановлению Министерства просвещения Грузинской ССР, Совпрофа Грузии, ЦК ЛКСМ Грузии, Республиканского спорткомитета с 1976 года по республике проводится смотр-конкурс спортивных баз общеобразовательных школ.

Активная деятельность органов народного образования, профсоюзных, комсомольских и физкультурных организаций в ходе смотра-конкурса значительно способствовала обеспечению общеобразовательных школ комплексными спортивными площадками и спортивным инвентарем.

О смотре-конкурсе была подготовлена специальная передача по радио и телевидению Грузии, его ход периодически освещала республиканская пресса.

За 1978 год в общеобразовательных школах республики построено 19 спортивных залов, 18 плавательных бассейнов, 2 тира, создано 252 баскетбольных, 230 волейбольных, 124 по ручному мячу и 12 футбольных площадок, 38 легкоатлетических сектора, 22 полосы препятствий физкультурного комплекса ГТО, капитально отремонтировано 25 школьных залов, 16 комплексных площадок простого типа, приобретен спортивный инвентарь на 32.340 рублей.

В этом направлении особенно плодотворно поработали общеобразовательные школы городов Тбилиси, Батуми, Цхакаиевского, Гурджаанского, Мцхетского, Онского, Махарадзевского, Амбролаурского, Карельского, Цителцкаройского, Горийского, Ванского, Цагерского районов.

По качеству и благоустройству построенных спортивных сооружений следует отметить спортивные залы и спортивные площадки простого типа Тбилисских 153-ей, 155-ой и 120-ой школ, Теклатской и Сенакской Цхакаиевского района, школы № 3 Гурджаанского района, а также Бакурцихской, Джандарской, Чумлакской, Вазисубанской, Шромской, Мукузанской, Чикаанской школ Гурджаанского района,

Жинвальской Мцхетского района, Онской 2-ой, Батумской 26-ой, Баилетской, Натанебской, Шромской, Лихаурской, Махарадзевской, Цхмельской, Шемокмедской Махарадзевского района, Учавской Амбролаурского района, Земохведуретской и Квенаткоцской Карельского района, села Гамарджвеба Цителцкаройского района, села Хелтубани Горийского района, Зейндарской средней и Пертской восьмилетней школ.

Особое внимание уделили строительству школьных спортивных баз шефские предприятия и учреждения, колхозы и совхозы, в частности; Тбилисский завод «Разъединитель» и Авчальский стекольный завод, молочный комбинат, райкоопсоюз села Теклати Цхакаиевского района, Бакурцихский, Чандарский, Чумлакский, Вазисубанский, Шромский, Мукузанский и Чикаанский колхозы и совхозы Гурджаанского района, Жинвальский гидроэлектротехнический комплекс Мцхетского района. Чордское строительное управление Онского района, Батумский домостроительный комбинат, Объединение чайных фабрик, шелкоткацкая фабрика и колхозы сел Баилети, Натанеби, Шрома, Лихаури, Махарадзе, Цхмели, Шемокмеди Махарадзевского района, Карельский авторемонтный завод, Агарский железобетонный завод, Правление колхозов Цителцкаройского района, мелькомбинат Горийского района, совхоз села Зейндари Ванского района и колхоз села Песета, 20-ый дорожно-эксплуатационный участок Цагерского района и т. д.

Вместе с тем следут отметить, что органы народного образования ряда городов и районов не отнеслись с должным вниманием к смотру-конкурсу школьных спортивных баз.

Несмотря на напоминание материалы по проведению смотра-конкурса не представили: Министерство просвещения Абхазской АССР, отделы народного образования городов Поти, Чиатура, Рустави, Гори, Зугдиди, Абашского, Адигенского, Ахалцихского, Болнисского, Боржомского, Гардабанского, Гегечкорского, Дманисского, Зестафонского, Зугдидского, Лагодехского, Марнеульского, Местийского, Орджоникидзевского, Сагареджойского, Самтредского, Сигнахского, Телавского, Терджольского, Тианетского, Хашурского, Цаленджихского, Цалкского, Цхалтубского, Чохатаурского, Чхороцкуского и Калининского, Заводского и Октябрьского районов г. Тбилиси.

Коллегия Министерства просвещения Грузинской ССР решает:

1. За плодотворную деятельность по созданию спортивных без, стиммулированию самодеятельного строительства, трудовому воспитанию и профессиональной ориентации учащейся молодежи наградить Почетной грамотой Министерства просвещения Грузинской ССР:

155-ю среднюю школу г. Тбилиси (директор Хачидзе И. Н.), шефскую организацию — Молочный комбинат (директор Д. Даташвили), 120-ю среднюю школу г. Тбилиси (директор А. Иванишвили), шефскую организацию — Авчальский стекольный завод (и. о. директора Цагарейшвили Д. Б.), 2-ю среднюю школу г. Они (директор Кухианидзе Л. Д.), шефскую организацию — Чордское строительное управление (начальник З. Бегианишвили), среднюю школу села Квенаткоци Карельского района (директор Гонгадзе Н. А.), шефскую организацию-Железобетонный завод (директор С. Вартанашвили), среднюю школу села Гамарджвеба Цителцкаройского района (директор Сехниашвили М. И.), шефскую организацию — колхоз села Гамарджвеба (председатель Тарашвили Т. П.), среднюю школу села Хелтубани Горийского района (директор Худадов С. Д.), шефскую организацию мелькомбината (директор Дзнеладзе Д. Л.), восьмилетнюю школу села Зейндари Ванского района (директор Гиоргадзе В. А.), шефскую организацию Зейндарского совхоза (директор Чахунашвили Г. А.).

2. Поручить Министерствам просвеещния Абхазской и Аджарской АССР, отделу народного образования Юго-Осетинской АО, Управлению народного образования г. Тбилиси, отделам народного образования городов и районов республики принять надлежащие меры по проведению Республиканского смотра-конкурса на высоком организационном уровне. Более конкретно отображать возможности создания строительных баз различного типа в каждой общеобразовательной, детской и юношеской спортивной школе, добиться конкретной помощи предприятий и учреждений, колхозов, совхозов и других организаций в деле строительства школьных спортивных сооружений, расширения сети спортивных площадок комплексного и простого типа и укрепления их материально-технической базы.

3. Редакциям газеты «Сахалхо ганатлеба», журнала «Скола да цховреба» и ежеквартального дополнения «Мартве» уделить больше внимания ходу Республиканского смотро-конкурса общеобразовательных, детских и юношеских спортивных школ, систематической публикации критических заметок с целью укрепления материально-технической базы физического воспитания учащихся.

4. Контроль за выполнением настоящего решения возложить на Управление физического воспитания и спорта (тов. Д. Квиникадзе).

**Министр** **О. КИНКЛАДЗЕ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1979 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება

## გლდანის სპორტულ სკოლა-ინტერნატში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის შესახებ

შემოწმებით დადგინდა, რომ მიუხედავად მთელი რიგი ორგანიზაციული ღონისძიებებისა, რომელიც გატარდა უკანასკნელ ხანს, გლდანის სპორტულ სკოლა-ინტერნატში მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი და სპორტული მუშაობის სრულყოფის მიზნით, სკოლა-ინტერნატის საქმიანობაში კვლავ ადგილი აქვს სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებებსა და დარღვევებს.

სკოლა-ინტერნატის საყოფაცხოვრებო, სასწავლო, სააღმზრდელო და საწვრთნელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, მოსწავლეებს არა აქვთ მეცადინეობის, სპორტული ვარჯიშის, დასვენებისა და ცხოვრების ნორმალური პირობები. ინტერნატის ხელმძღვანელობა და ექიმები დანაშაულებრივი უდარდელობით ეკიდებიან აღსაზრდელთა კვების სწორად ორგანიზაციის საქმეს. ქ. თბილისის ლენინის რაიონის საზკვების მე-15 ტრესტის ხელმძღვანელობა სათანადოდ არ ამარაგებს ინტერნატის სასადილოს ფართო ასორტიმენტის კვების პროდუქტებით. დარღვეულია აღსაზრდელთა ასაკობრივი თავისებურებებით გათვალისწინებული კვების ნორმები. არ არის დაწესებული კონტროლი სასადილოს მუშაობაზე. ინტერნატის დირექციის მიერ ყოველდღიურად არ მტკიცდება მენიუ-მოთხოვნები, დამზადებული კერძების კალორიულობის კომპენსაცია ხდება ულუფის გაზრდის ხარჯზე.

სერიოზული ნაკლოვანებებია ბავშვთა სამედიცინო მომსახურებაში. ნაცვლად ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული 10 ექიმისა, აღსაზრდელთა სამედიცინო აღდგენით სამსახურში დასაქმებულია მხოლოდ 3 ექიმი. ღარიბია სამედიცინო მომსახურების ბაზა.

სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში ამხ. ლ. ნინუა ვერ ახორციელებს სათანადო ხელმძღვანელობას აღმზრდელთა მუშაობაზე, რის შედეგადაც ინტერნატის აღმზრდელთა ძირითადი ნაწილის საქმიანობა მხოლოდ აღსაზრდელებზე თვალყურის დევნებით შემოიფარგლება. ინტერნატში არ არის შექმნილი აღსაზრდელთა იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი და შრომითი აღზრდის ერთიანი სისტემა, სათანადო მუშაობა არ წარმოებს მოსწავლე სპორტსმენებში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და სოციალისტური საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდის საქმეში. და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალია მოწავლეთა აღზრდილობის დონე, ხშირია მეცადინეობებისა და სპორტული ვარჯიშების უმიზეზოდ გაცდენები. შეინიშნება სასწავლო ნივთების, სახელმძღვანელოების და საყოფაცხოვრებო ინვენტარის განზრახ დაზიანების შემთხვევები. აღმზრდელობით მუშაობაში არ შეინიშნება პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების ავანგარდული როლი.

ზოგადსაგანმანათლებლო საგნების მასწავლებელთა უმრავლესობა ვერ ფლობს საგნის სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და ხერხებს, სათანადო პასუხისმგებლობით არ ემზადება გაკვეთილებისათვის, უგულვებელყოფილია სწავლებაში თვალსაჩინოებისა და სწავლების ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების პრაქტიკა, რის შედეგადაც დაბალია სწავლებისა და მოსწავლეთა ცოდნის დონე.

სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში ამხ. ი. მელაძე ვერ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისადმი ქმედით ხელმძღვანელობასა და კონტროლს, იშვიათად ესწრება მასწავლებლებს გაკვეთილებზე, მეთოდურად არასწორად ადგენს მოსმენილი გაკვეთილების ანალიზებს, რაც მისი, როგორც ხელმძღვანელის დაბალ კვალიფიკაციაზე მეტყველებს. ყოველივე ამან განაპირობა სკოლაში მეთოდური მუშაობის ჩაშლა, მასწავლებელთა პედაგოგიური პასუხისმგებლობის დაქვეითება, ლიბერალიზმი მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში. შექმნილი მდგომარეობა გამოწვეულია იმითაც,რომ სკოლა-ინტერნატის დირექტორი ამხ. გ. ჭაჭიაშვილი ფაქტიურად ჩამოშორებული აღმოჩნდა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხელმძღვანელობისაგან, რაზედაც მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მას სასწავლო წლის განმავლობაში არცერთი მასწავლებლის გაკვეთილი არ მოუსმენია, არ დასწრებია სააღმზრდელო მეცადინეობას.

ნაკლოვანებებია სპორტულ მუშაობაში. სათანადო ყურადღება არ ექცევა საკავშირო განათლების სამინისტროს 1976 წლის 20 მაისის № 349 დადგენილების „სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებში მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ პრაქტიკულად განხორციელებას. სკოლა-ინტერნატში მოსწავლე-სპორტსმენთა სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მოცულობა 60—70%-ს შეადგენს. ინტერნატი, ძირითადად, უპერსპექტივო მოსწავლეებით კომპლექტდება, რის გამოც ხშირია მოსწავლეთა განთესვა. მიმღები კომისიის ოქმებში და ბრძანებების წიგნში ნაჩვენები არ არის სპორტული თანრიგი. ჯგუფების დაკომპლექტებისას ყოველთვის არ არის დაცული მოსწავლეთა რაოდენობა და ასაკობრივი თავისებურებანი. არ ტარდება სანორმატივო-საკონტროლო შეჯიბრებები, რის გამოც არ არის გათვალისწინებული სპორტული ჯგუფების დაკომპლექტების ისეთი აუცილებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხოვნა, როგორიცაა მოსწავლეთა სპორტული დონე და მათი შემდგომი დაოსტატების პერსპექტივა.

სკოლა-ინტერნატს არ გააჩნია ნორმალური საწვრთნელი სპორტული ბაზა. გაჭიანურებულია მძლეოსნური მანეჟისა და ფეხბურთის მოედნების რემონტი, რომელსაც აწარმოებს რესპუბლიკური სპორტკომიტეტის სამშენებლო-სარემონტო სამმართველო. დღემდე დაუმთავრებელია ტანვარჯიშული დარბაზისა და 25 მეტრიანი დახურული საცურაო აუზის მშენებლობა, რომელსაც აშენებს მესამე სამშენებლო ტრესტის № 2 სამშენებლო სამმართველო, არ არის გათბობა ჭიდაობისა და ფარიკაობის დარბაზებში. საკუთარი საწვრთნელი ბაზების უქონლობა შეუძლებელს ხდის სამუშაო დღის რეჟიმის დაცვასა და დღეში ორჯერადი ვარჯიშების ჩატარებას. სკოლა-ინტერნატს არ გააჩნია საზაფხულო სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი, რაც შეუძლებელს ხდის სრულწლიური საწვრთნელი ციკლის დაცვას.

ზემოაღნიშნული მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ სკოლა-ინტერნატში შექმნილი არ არის აღსაზრდელთა სწავლების, აღზრდისა და სპორტული წრთობის, მათი საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების ერთიანი მყარი სისტემა. ნაკლოვანებებია მუშაობის დაგეგმვაში, პედაგოგიური კოლექტივის საქმიანობას საფუძვლად არ უდევს სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე პარტიისა და მთავრობის, სსრკ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროებისა და სპორტკომიტეტების დადგენილებები, სსრკ და საქართველოს მასწავლებელთა ყრილობების რეკომენდაციები. სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური საბჭო ვერ ასრულებს პედაგოგიური კოლექტივის მაორგანიზებელ, მის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტისაკენ წარმმართველ ფუნქციას. სკოლა-ინტერნატის დირექტორი ამხ. გ. ჭაჭიაშვილი და მისი მოადგილეები ამხ. ამხ. ი მელაძე და ლ. ნინუა ვერ ახორციელებენ პედაგოგიური კოლექტივისადმი სათანადო ხელმძღვანელობასა და კონტროლს, პრინციპულ მომთხოვნელობას არ იჩენენ მასწავლებლების, აღმზრდელებისა და მწვრთნელებისადმი, ინტერნატის ყველა მუშაკისადმი სკოლა-ინტერნატის წინაშე სწორად დასახული ამოცანების განუხრელად შესრულებისათვის.

გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატის მუშაობაში გამოვლენილი სერიოზული ნაკლოვანებები ნაწილობრივ განპირობებულია იმითაც, რომ სამინისტროს შესაბამისმა სამმართველოებმა დროულად ვერ უზრუნველყვეს სათანადო ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი ინტერნატის საქმიანობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატის დირექციამ:

1. 1. აამაღლოს სკოლა-ინტერნატის ყველა მუშაკის პერსონალური პასუხისმგებლობა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სწორ ორგანიზაციასა და ხარისხზე. განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი პედაგოგიური კოლექტივის მართვის სრულყოფის მიზნით, გადაჭრით აამაღლოს გაკვეთილის, როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციის ძირითადი ფორმის ეფექტურობა. სრულად გამოიყენოს კომკავშირული, პიონერული და მოსწავლეთა თვითმმართველობითი ორგანიზაციები მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის, სწავლების ხარისხის ამაღლების, მოსწავლეებში შეგნებული დისციპლინისა და ქცევის კულტურის აღზრდისა და თვითმომსახურების განვითარების საქმეში.

1. 2. უმოკლეს ვადებში სათანადო წესრიგი დაამყაროს აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების საქმეში. სისტემატური კონტროლი დააწესოს მათი კვების მდგომარეობაზე და სკოლა-ინტერნატში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე.

1. 3. სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატის დებულების საფუძველზე შეიმუშაოს და დაამკვიდროს აღსაზრდელთა ერთიანი დღის რეჟიმი. განახორციელოს ღონისძიებანი მის მკაცრად დაცვაზე.

1. 4. ძირეულად გარდაქმნას სპორტული მუშაობა, გადაახალისოს და გააუმჯობესოს მოსწავლეთა მიმღები კომისიების საქმიანობა. აღკვეთოს არასპორტული მონაცემების მქონე ბავშვთა ინტერნატში მიღება. გაზარდოს მწვრთნელთა პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობისადმი.

1. 5. სისტემატურად იზრუნოს სასწავლო-კაბინეტების სათანადო თვალსაჩინოებებითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით აღჭურვისათვის, მასწავლებელთა და აღმზრდელთა მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფისათვის.

2. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოსთან ერთად გადასინჯოს სკოლა-ინტერნატის სასწავლო გეგმები და დღის რეჟიმი, მოიყვანოს ისინი სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატის დებულების შესაბამისობაში და გადამუშავებული სასწავლო გეგმა წარმოუდგინოს კოლეგიას დასამტკიცებლად.

3. ეთხოვოს საქართველოს სსრ სპორტკომიტეტს (ამხ. დ. პერტენავა) მიიღოს სათანადო ზომები, რათა სპორტკომიტეტის სამშენებლო-სარემონტო სამმართველომ დროულად დაამთავროს ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკრულებით გათვალისწინებული სპორტული სკოლა-ინტერნატის სავარჯიშო საწვრთნელი ბაზების სარემონტო სამუშაოები.

4. მინისტრის მოადგილე ამხ. მ. ქოჩაკიძემ სისტემატური კონტროლი დააწესოს სკოლა-ინტერნატის საწვრთნელი ბაზების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობაზე და უზრუნველყოს მათი დამთავრება 1979 წლის 20 მაისისათვის.

ამასთან ერთად სკოლა-ინტერნატის კონტინგენტისა და სპეციფიკურობის გათვალისწინებით შეიმუშაოს და წარმოადგინოს სასწავლო და საძილე კორპუსების გაფართოების ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა.

5. სპორტულ სკოლა-ინტერნატში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაბალი დონისათვის და პედაგოგიური კოლექტივისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილეები სასწავლო და აღმზრდელობით დარგში ი. მელაძე და ლ. ნინუა განთავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან, ხოლო სკოლა-ინტერნატის დირექტორს ამხ. გ. ჭაჭიაშვილს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური და დროებით იქნას დატოვებული თანამდებობაზე სასწავლო წლის ბოლომდე.

6. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე სპორტული მუშაობის დარგში გ. ანთიძე ახლადდანიშნულია.

7. აღინიშნოს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოების (ამხ. ლ. კვინიკაძე) არასათანადო ხელმძღვანელობა და კონტროლი გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატის საქმიანობისადმი.

8. კადრების სამმართველომ, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოებთან ერთად, ჩაატაროს მასწავლებელთა და აღმზრდელთა ატესტაცია და უმოკლეს ვადაში დააკომპლექტოს სკოლა-ინტერნატი მასწავლებლების, აღმზრდელებისა და სპორტულ მწვრთნელთა მაღალკვალიფიციური კადრებით.

9. დაისვას საკითხი ქ. თბილისის სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს წინაშე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის ოქტომბრის დადგენილების შესასრულებლად მიიღოს ქმედითი ზომები გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და სასადილოს ფართო ასორტიმენტის კვების პროდუქტებით და საჭირო ინვენტარით მომარაგებისათვის.

10. ეთხოვოს ქ. თბილისის სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას სათანადო დახმარება გაუწიოს გლდანის სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატს

ალსაზრდელ სპორტსმენთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში.

11. აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს (ამხ. დ. კვინიკაძე), რომლებმაც ინფორმაცია გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ წარმოუდგინონ კოლეგიას 1979 წლის მაისში.

კოლეგიის თავმჯდომარე
მინისტრი — Ო. ᲥᲘᲜᲥᲚᲐᲫᲔ

ეროვნული ბიბლიოთეკა

